

სამახსოვრო ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრისთვის

ვერიფიკაციის აპარატით კენჭისყრის მიმდინარეობისას, ამომრჩეველთა რეგისტრატორი:

- ▶ სთხოვს ამომრჩეველს, წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი;
- ▶ ამოწმებს ამომრჩევლის სახისა და წარდგენილ დოკუმენტში არსებული ფოტოსურათის ერთმანეთთან შესაბამისობას;

ყურადღება!

თუ ამომრჩეველთა რეგისტრატორმა ამომრჩევლის სახე და წარდგენილ დოკუმენტში არსებული ფოტოსურათი ერთმანეთთან შეუსაბამოდ მიიჩნია, იგი მიმართავს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და ელოდება მის მითითებებს. თუ კომისიის თავმჯდომარე შეუსაბამობას არ დაადასტურებს, რეგისტრატორს უფლება აქვს, კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში მიუთითოს განსაკუთრებული აზრი, რასაც კომისიის მდივანთან ერთად ამოწმებს ხელმოწერით. ამომრჩევლის სახის წარდგენილ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში არსებულ ფოტოსურათთან შეუსაბამოდ მიჩნევის მიუხედავად, ამომრჩეველი იღებს მონაწილეობას კენჭისყრაში.

- ▶ საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონულ მოწმობას (ID ბარათი) ატარებს ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატის MRZ წამკითხველში. მონაცემების შესაბამისობის შემთხვევაში, აპარატს ეკრანზე გამოაქვს ამ ამომრჩევლის მონაცემები;

ყურადღება!

თუ ამომრჩეველი რეგისტრატორს წარუდგენს საქართველოს მოქალაქის არაელექტრონულ პირადობის მოწმობას, ან საქართველოს მოქალაქის პასპორტს, რეგისტრატორი ამომრჩევლის მონაცემთა ძეგნას აპარატში ახორციელებს ხელით.

- ▶ ვერიფიკაციის აპარატის მიერ ამომრჩევლის მონაცემთა შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში, ვერიფიკაციის აპარატიდან ბეჭდავს ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელ ქვითარს, რომელზეც ხელს აწერს ამომრჩეველი. აღნიშნულ ქვითარს რეგისტრატორი ათავსებს სარეგისტრაციო მაგიდაზე განთავსებულ გაუმჭვირვალე დალუქულ ყუთში;

ყურადღება!

- ✓ თუ ამომრჩეველი ფიზიკური მდგომარეობის გამო (ზედა კიდურების არქონა) ვერ ახერხებს ხმის მიცემის პროცედურების დამოუკიდებლად შესრულებას, ამომრჩევლისათვის საარჩევნო ბიულეტენის გადაცემისას რეგისტრატორი ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელ ქვითარზე ამომრჩევლის ხელმოწერის ადგილას აკეთებს ჩანაწერს „ფიზიკური მდგომარეობა“ და აღნიშნულ ჩანაწერს ადასტურებს ხელმოწერით;
- ✓ თუ ვერიფიკაციის აპარატი დააფიქსირებს, რომ კენჭისყრის შენობაში ხმის მისაცემად გამოცხადებული ამომრჩეველი შეყვანილია გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში, ან სხვა უბნისთვის განკუთვნილ სპეციალურ სიაში, მას საარჩევნო უბანში აკრძალვება კენჭისყრაში მონაწილეობა;
- ✓ ამომრჩეველი, რომელსაც ერთიან სიაში მინიჭებული აქვს სტატუსი „იმყოფება უცხოეთში“ ან „საკონსულო აღრიცხვაზე“ კენჭისყრაში მონაწილეობას იღებს ზოგადი წესით.

- ▶ ამომრჩეველს გადასცემს საარჩევნო ბიულეტენს და ხმის მიცემისთვის განკუთვნილ სპეციალურ ჩარჩო-კონვერტს, განუმარტავს ხმის მიცემისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩარჩო-კონვერტის გამოყენებისა და საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესს, აფერადებინებს ამომრჩეველს ამავე საარჩევნო ბიულეტენზე სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე არსებულ საცდელ წრეს.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მითითებით, ამომრჩეველთა რეგისტრატორი მისთვის გადაცემული ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატიდან, 10:00, 12:00, 15:00, 17:00 და 20:00 საათზე, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატიდან ბეჭდავს ანგარიშს.